



ოქმი:ო37.37210368

თარიღი:05/02/2021

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ნ. ორაგველიძის ანგარიშის მოსმენის სხდომის

ოქმი

ქ.ოზურგეთი 2021 წ. 05.02.

16.00-17.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: წევრის ამომრჩევლები, კოლეგები, ფრაქცია „ოზურგეთელ ხელმოკლეთა და შეჭირვებულთა ინტერესებისათვის“ - წევრები.

საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები.

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა დამსწრეთ, ამომრჩევლებს -აღნიშნა, რომ დაიწყო საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება, განაცხადა, რომ ნ. ორაგველიძე აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს, ფრაქციისა და კომისიების მუშაობაში.

საკრებულოს წევრმა ნ. ორაგველიძემ საკრებულოს რეგლამენტის 131 -ემუხლის შესაბამისად ვრცლად წარმოადგინა მის მიერ საანგარიშო პერიოდში- 2019 წლის ნოემბრიდან 2020 წლის ნოემბრამდე - როგორც საკრებულოს, საკრებულოს ფრაქციასა და კომისიებში, ამომრჩევლებთან, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთობლივად გაწეული მუშაობის ანგარიში.

ისაუბრა საანგარიშო პერიოდში ამომრჩევლების მიერ დაყენებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე, აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში დახმარებისათვის მიმართა 30- მა შეჭირვებულმა მოქალაქემ, საზი გაუსვა ანასეულის ცენტრალური გზის რეაბილიტაციის აუცილებლობას, მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების, თვითმმართველობის გაძლიერების პრობლემებს, დაუშვებლად მიიჩნია დასახლებულ ტერიტორიაზე ქალაქად ქიმიური ქარხნის მშენებლობა, უპასუხა დასმულ შეკითხვებს. აღნიშნა, რომ მომავალში მისი საქმიანობის ძირითადი გამოწვევა იქნება ამომრჩევლებთან უფრო აქტიური მუშაობა.

ფრაქციის წევრებმა, ამომრჩევლებმაც და კოლეგებმაც მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ანგარიშს. აღნიშნეს, რომ ნ. ორაგველიძე მაღალი პასუხისმგებლობით და პროფესიონალურად უდგება მოსახლეობის მიერ დასმულ ყოველ პრობლემას, კოლეგიურად, ურთიერთ თანამშრომლობით აგვარებს მნიშვნელოვან საკითხებს, წარმატებები უსურვეს მომავალ საქმიანობაში.

გამოთქმულ შეფასებებს დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია აღნიშნა, რომ ანგარიში სრულად პასუხობდა რეგლამენტის მოთხოვნებს, უსურვა წარმატებები მომავალ მუშაობაში.

ამომრჩევლებისა და დამსწრეთა საერთო აზრით, სხდომის თავმჯდომარის
დ.დარჩიას წინადადებით, საკრებულოს წევრის ანგარიში შეფასდა
დამაკმაყოფილებლად.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

